

საქართველოს ეროვნული ბანკი

ინფლაციის მიმოხილვა

2009 წ. I კვარტალი

თბილისი

სარჩევი

შესავალი.....	4
1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება	6
2. ინფლაციის ფაქტორები	9
2.1. შრომის პროდუქტიულობა, ხელფასი	9
2.2. მონეტარული აგრეგატები	10
2.2.1. ფართო ფული	11
2.3. მონეტარული ინსტრუმენტები	12
2.4. ბანკთაშორისი ბაზარი	14
2.5. საბანკო სექტორი	15
2.6. გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორები	17
2.7. გამოშვება და მოთხოვნა	20
2.7.1. კერძო და სახელმწიფო მოხმარება	21
2.7.2. ინვესტიციები	22
2.7.3. მშპ-ის 2008 წლის I კვარტალის შეფასება და მომდევნო პერიოდის პროგნოზი	22
ჩანართი: მსოფლიოს ეკონომიკური პერსპექტივები.....	22
2.8. საგარეო ვაჭრობა	24
ჩანართი. საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემა (ITRS).....	25
2.9. სამთავრობო ოპერაციები.....	27
3. ინფლაციის პროგნოზი	30
4. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ბალანსპეტილებები	33

შესავალი

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2009 წლის მარტში წლიური ინფლაცია წინა კვარტალში დაფიქსირებული 5.5 პროცენტიდან 1.6 პროცენტამდე შემცირდა. საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2009 წლის პირველ კვარტალში 2.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.8 პროცენტს მიაღწია.

კვარტალის ინფლაციაზე ძირითადი გავლენა საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ვარდნამ, აგრეთვე სეზონურმა ფაქტორებმა იქონია. პირველ კვარტალში შემცირება დაფიქსირდა საბაზო ინფლაციის მაჩვენებლების მიხედვითაც. წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები 1.14 და 1.16 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2009 წლის მარტში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, სამომხმარებლო კალათის ფასები 1.6 პროცენტით გაიზარდა. ფასის 3.8-პროცენტიანი შემცირება დაფიქსირებული ტანსაცმელზე. ტრანსპორტზე ფასები 7.9 პროცენტით შემცირდა. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ჯანმრთელობის დაცვაში (16.6 პროცენტი), სადაც უმთავრესი წვლილი მედიკამენტების გაძვირებამ შეიტანა.

მარტის თვეში შემცირდა იმპორტირებულ საქონელზე წლიური ინფლაციის მაჩვენებელი და -4.3 პროცენტი შეადგინა. იმპორტირებულ საქონელზე ფასების შემცირება საერთაშორისო ბაზრებზე ფასების კლების შედეგია.

2009 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით, სარეზერვო ფულის მაჩვენებელი 165,1 მლნ ლარით შემცირდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოს 1266,8 მლნ ლარი შეადგინა. წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით კი, სარეზერვო ფულის წლიურმა კლებამ 10.4 პროცენტი შეადგინა.

ფართო ფული M3-ის მაჩვენებლის წლიურმა

კლებამ 8,7 პროცენტი შეადგინა, ხოლო ფართო ფული M2-ის მაჩვენებელიც ასევე შემცირებულია და წლიურმა კლებამ 27.7 პროცენტი შეადგინა.

კომერციული ბანკები მაღალი ეკონომიკური რისკებიდან გამომდინარე ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ლიკვიდური თანხების მნიშვნელოვანი რეზერვები და კრედიტების გაცემას უფრო შეზღუდულად ახორციელებდნენ. 2009 წლის პირველ კვარტალში, 2008 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკაზე ლარით გაცემული სესხები 26 პროცენტით შემცირდა.

ეკონომიკური და საბანკო აქტივობის შენელების, აგრეთვე, ინფლაციის ტემპების მკვეთრი შემცირების ფონზე მონეტარული პოლიტიკა კვლავ შემსუბუქდა პირველ კვარტალში. სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით რეფინანსირების სესხების მინიმალური საპროცენტო განაკვეთი თანდათანობით შემცირდა 8-დან 6,5 პროცენტამდე. სულ, პირველ კვარტალში, ბანკების მიერ სებ-გან აღებული იქნა 689,5 მლნ ლარის რეფინანსირების ერთკვირიანი სესხები. გაზრდილი აქტივობა იმით აიხსნება, რომ იანვარ-მარტში რამდენიმე ბანკი რეგულარულად მონაწილეობდა სესხების აუქციონებში. მათთვის რეფინანსირების სესხები დაფინანსების სტაბილურ და იაფ წყაროს წარმოადგენდა.

სებ-ის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი საპროცენტო განაკვეთის პარალელურად, 2009 წლის პირველ კვარტალში, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საკრედიტო რესურსი კვლავ გაიზარდა. კერძოდ, იანვარ-მარტში ერთი საოპერაციო დღით ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საშუალო წლიურმა შენონილმა პროცენტმა 5,3 პროცენტი შეადგინა, როცა 2008 წლის მეოთხე და მესამე კვარტლებში, შესაბამისად, 6,4 პროცენტი და 9,0 პროცენტი იყო.

კომერციული ბანკებისთვის ლიკვიდობის მართვის ხელშეწყობისთვის კვლავაც ხორციელდებოდა სამთვლიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისია. სამთვლიანი სადეპოზიტო სერტიფიკატებზე მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა და 13 პროცენტი შეადგენდა.

საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 2009 წლის პირველ კვარტალში 461,1 მლნ ლარით (ანუ 14,5 პროცენტით) შემცირდა და 2714,7 მლნ ლარი შეადგინა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დეპოზიტების მოცულობა შემცირდა 99,6 მლნ ლარით. დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 2009 წლის მარტში, დეკემბერთან შედარებით 0,5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და თვის ბოლოსთვის 75,2 პროცენტს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 0,9 პროცენტით გაიზარდა.

2009 წლის პირველ კვარტალში კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 318,4 მლნ ლარით შემცირდა და 5753,9 მლნ ლარი შეადგინა. წინა პერიოდთან შედარებით ეკონომიკის დაკრედიტების მოცულობის გარკვეული კლების მიუხედავად, წლიური ზრდის ტემპი არსებითია და მარტის ბოლოსათვის 13,6 პროცენტს შეადგენს.

საბანკო სისტემაში საპროცენტო განაკვეთები სესხებზე 2009 წლის პირველ კვარტალში, წინა პერიოდთან შედარებით, კლების მიმართულებით შეიცვალა და წლიური 22,4 პროცენტი შეადგინა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 2008 წელს 2,850 მლნ.ი აშშ დოლარი შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის ნეგატიური ტენდენციები ლარის გაცვლით კურსზე გაუფასურების მიმართულებით ზემოქმედებს. აგვისტოს ომის შემდგომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საგრძნობმა შემცირებამ, უცხოურ ვალუტაზე ზედმეტად ჭარბი მოთხოვნის პირობებში, 2008 წლის მეოთხე კვარტალში ლარის გაუფასურება გამოიწვია. გაუფასურების ტენდენცია არ გაგრძელებულა 2009 წლის პირველ

კვარტალში, როდესაც გაცვლითი კურსი, ძირითადად, მოკლევადიანი რყევებით გამოირჩეოდა და კონკრეტული ტენდენცია არ გააჩნდა. 2009 წლის პირველ კვარტალში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1 პროცენტით გამყარდა.

აგვისტოს საომარი მოქმედებების და შემდგომ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით, 2008 წლის მეოთხე კვარტალში, პირველად, უკანასკნელი წლების განმავლობაში დაფიქსირდა კლება, როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის შემთხვევაში. 2009 წელს აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა და უფრო მეტად გაღრმავდა. 2009 წლის პირველ კვარტალში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 1202.2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 31 პროცენტით ნაკლებია. აქედან, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი 220.1 მლნ. აშშ დოლარი იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელს 33 პროცენტით ჩამორჩება, ხოლო იმპორტი – 982.1 მლნ.ი აშშ დოლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 30 პროცენტით ნაკლებია. შედეგად სავაჭრო დეფიციტმა 762.0 მლნ.ი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 29 პროცენტით ნაკლებია.

2009 წლის I კვარტალის მშპ-ის კლება სულ ცოტა -3 პროცენტს შეადგენს. ამასთან, შეფასებისას დაშვებული შეცდომის რისკები უფრო უარყოფითი ხასიათისაა. გაუარესება მოსალოდნელია საქართველოს სექტორების უმრავლესობაში, რასაც გარკვეულწილად უნდა ამსუბუქებდეს ფისკალური სტიმულირების სახელმწიფო პროგრამები.

ეროვნული ბანკის ინფლაციის პროგნოზი გვიჩვენებს, რომ 2009 წლის მეორე და მესამე კვარტალში ინფლაციის დონე სასურველზე დაბალი იქნება. ინფლაციის გარკვეული მატების (4 პროცენტზე ნაკლები) მოლოდინი არის წლის ბოლოსთვის. საშუალოვადიან პერსპექტივაში ეროვნული ბანკი ინფლაციის ეკონომიკისათვის სასურველ ფარგლებში დაბრუნებას ვარაუდობს.

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2009 წლის პირველ კვარტალში სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 0.4 პროცენტით შემცირდა. წინა – 2008 წლის პირველ კვარტალში სამომხმარებლო ფასები 3.5 პროცენტით იყო მომატებული. შესაბამისად, 2009 წლის მარტში წლიური ინფლაცია წინა კვარტალში დაფიქსირებული 5.5 პროცენტიდან 1.6 პროცენტამდე შემცირდა. საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2009 წლის პირველ კვარტალში 2.2

პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.8 პროცენტს მიაღწია.


კვარტალის ინფლაციაზე ძირითადი გავლენა საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ვარდნამ, აგრეთვე სეზონურმა ფაქტორებმა იქონია. კვარტალის განმავლობაში ბენზინი 14.7 პროცენტით, მზესუმბირის ზეთი 16.9 პროცენტით, ხორბლის თეთრი პური 5.4 პროცენტით, ხოლო იმერული ყველი 20.2 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული ფასების ცვლილების ეფექტი კვარტალის ინფლაციაზე -1.8 პროცენტს შეადგენს. ინფლაციის აღნიშნული შემცირება 2009 წლის პირველ კვარტალში ნაწილობრივ დაკომპენსირდა ხილ-ბოსტნეულზე ფასების ზრდით, რაც სეზონური ფაქტორების გავლენის შედეგია.

პირველ კვარტალში შემცირება დაფიქსირდა საბაზო ინფლაციის მაჩვენებლების მიხედვითაც. წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები 1.14 და 1.16 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2009 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, სამომხმარებლო კალათის ფასები 1.6 პროცენტით გაიზარდა. ფასის 3.8-პროცენტიანი შემცირება დაფიქსირებული ტანსაცმელზე. ტრანსპორტზე ფასები 7.9 პროცენტით, ხოლო სასაქონლო ჯგუფზე „საცხოვრებელი სახლი, ნყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ ფასები 0.9 პროცენტით შემცირდა. „კავშირგაბმულობის“ სექტორზე ფასები 6.0 პროცენტით გაიზარდა, „საოჯახო ნივთებზე“ ფასები 6.3 პროცენტით გაიზარდა, სასაქონლო ჯგუფზე „სურსათი და უალკოჰოლო სასმელები“ ფასებმა 0.3 პროცენტით მოიმატა, ხოლო „ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე“ 0.5 პროცენტით გაიზარდა. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა სასაქონლო ჯგუფზე „ჯანმრთელობის დაცვა“ (16.6 პროცენტი), უკანასკნელ შემთხვევაში უმთავრესი


ბრაზიკი 1.1

წლიური ინფლაციის მაჩვენებლის ცვლილება სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საკონლისა და მომსახურებისათვის



ბრაზიკი 1.2

წლიური ინფლაცია საქონლის წარმოების ადგილმდებარეობის მიხედვით



წვლილი 2008 წლის ნოემბრის თვეში მედიკამენტების გაძვირებამ შეიტანა.


მარტის თვეში შემცირდა იმპორტირებულ საქონელზე წლიური ინფლაციის მაჩვენებელი და -4.3 პროცენტი შეადგინა. იმპორტირებულ საქონელზე ფასების შემცირება საერთაშორისო ბაზრებზე ფასების კლების შედეგია. ადგილობრივი საქონლის ინფლაცია 0.8 პროცენტს შეადგენს.

საინტერესოა აგრეთვე სავაჭრო¹ და არასავაჭრო საქონლის ფასების დინამიკაზე დაკვირვება. მარტის თვეში არასავაჭრო საქონელზე ფასების ინფლაცია შემცირდა 2 პროცენტამდე, ხოლო სავაჭრო საქონელზე წლიური ინფლაცია გაიზარდა 1.4 პროცენტამდე. არასავაჭრო საქონელზე ფასების უფრო სწრაფი ტემპებით ზრდა, ვიდრე სავაჭრო საქონელზე, განვითარებული ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი.


საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით განხილვა გვიჩვენებს, რომ 2009 წლის მარტში, წინა კვარტალთან შედარებით, ფასები შემცირდა როგორც ხანმოკლე, ასევე საშუალო ხანგრძლივობის და ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე, შესაბამისად 0.4 და 3.1 და 2.4 პროცენტებით. მომსახურებაზე, წინა კვარტალთან შედარებით, ფასები 0.6-ით გაიზარდა. სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონელს შორის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი ხანმოკლე მოხმარების საქონლისათვის შეადგენს 1.0 პროცენტს, ხოლო მომსახურებისათვის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 4.6 პროცენტს შეადგენს. უკანასკნელ პერიოდში ხანმოკლე მოხმარების საქონელზე ინფლაციის შემცირება მოსახლეობაში ინფლაციის მოლოდინის შემცირებას უწყობს ხელს.

2006 წლის დეკემბრიდან 2009 წლის მარტამდე ხანმოკლე მოხმარების საქონლის ფასები 17.5 პროცენტით, ხოლო იმავე პერიოდში მომსახურებაზე ფასები 22.5 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონლის ფასებს, მათზე 2006 წლის დეკემბრიდან 2009 წლის მარტამდე ფასის 8.0 პროცენტის შემცირება დაფიქსირებული.


გრაფიკი 1.3
სავაჭრო და არასავაჭრო საქონლის ფასების ინდექსი (2006=100)



გრაფიკი 1.4
წლიური სფი და საბაზო ინფლაცია (2006 წლის დეკემბრიდან მოქმედი სამომხმარებლო კალათის 282 კომპონენტის მიხედვით)²



გრაფიკი 1.5
ფასების ზრდა 2008 წლის დეკემბერთან შედარებით



1 საქონელი და მომსახურება, რომლის რეალიზაციაც შესაძლებელია წარმოების ადგილიდან მოშორებით.
2 * ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.
** ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.

ცხრილი 1.1

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი).

	2006 წლის დეკემბრის წონები	მარ-09/დეკ-08		მარ-09/მარ-08		აპრ08-მარ09 / აპრ07-მარ08	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.4%	-0.4%	1.6%	1.5%	7.8%	7.7%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	44.3%	-0.9%	-0.4%	0.3%	0.1%	8.8%	4.0%
სურსათი	43.0%	-0.9%	-0.4%	0.0%	0.0%	8.9%	3.9%
პური და პურპროდუქტები	12.2%	-0.6%	-0.1%	-2.9%	-0.4%	13.4%	1.8%
ხორცი და ხორცის პროდუქტები	6.6%	0.2%	0.0%	6.2%	0.4%	10.9%	0.7%
თევზი	1.1%	-6.0%	-0.1%	7.3%	0.1%	3.2%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	5.2%	-8.1%	-0.4%	-8.9%	-0.4%	4.0%	0.2%
ზეთი და ცხიმი	3.5%	-4.0%	-0.2%	-13.2%	-0.6%	16.1%	0.6%
ხილი, ყურძენი	2.3%	3.7%	0.2%	52.6%	2.3%	24.4%	1.0%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	8.8%	-1.2%	-0.1%	-15.7%	-1.2%	-5.8%	-0.4%
შაქარი, ჯემი, თაფლი, ვაჟინები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.7%	4.2%	0.1%	9.4%	0.2%	2.9%	0.1%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	-0.4%	0.0%	7.4%	0.0%	5.6%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	1.3%	0.2%	0.0%	8.2%	0.1%	5.7%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	3.7%	0.0%	0.0%	0.5%	0.0%	-0.2%	0.0%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	5.0%	-1.2%	0.0%	-3.8%	-0.2%	-3.8%	-0.2%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები	10.3%	-0.4%	0.0%	-0.9%	-0.1%	5.9%	0.7%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება	3.7%	-0.4%	0.0%	6.3%	0.2%	11.1%	0.4%
ჯანმრთელობის დაცვა	8.0%	0.4%	0.0%	16.6%	1.4%	16.9%	1.3%
ტრანსპორტი	9.0%	-0.1%	0.0%	-7.9%	-0.7%	9.5%	0.9%
კავშირგაბმულობა	4.4%	0.4%	0.0%	6.0%	0.2%	5.0%	0.2%
დასვენება, გართობა და კულტურა	2.7%	0.8%	0.0%	0.4%	0.0%	2.9%	0.1%
განათლება	3.5%	0.1%	0.0%	1.6%	0.0%	0.1%	0.0%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	2.4%	3.0%	0.1%	10.4%	0.2%	6.2%	0.1%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	3.2%	-0.4%	0.0%	8.3%	0.2%	7.4%	0.2%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	68.0%	-0.7%	-0.5%	1.0%	0.7%	8.1%	5.5%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	6.5%	-0.9%	0.0%	-3.0%	-0.2%	-1.7%	-0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	1.9%	-0.6%	0.0%	-2.1%	0.0%	-0.3%	0.0%
მომსახურება	23.6%	0.7%	0.2%	4.6%	1.1%	9.5%	2.3%

2. ინფლაციის ფაქტორები

2.1. შრომის პროდუქტიულობა, ხელფასი

2008 წელს აღინიშნა საშუალო ხელფასის დონის მნიშვნელოვანი მატება 2007 წელთან შედარებით. კერძოდ, 2008 წლის IV კვარტალში, დაქირავებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა ოფიციალურ ეკონომიკაში შეადგინა 585.3 ლარი³, რაც 29.7 პროცენტით აღემატება 2007 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად არის შემცირებული. დაქირავებულთა საშუალო თვიური ხელფასის მატება აღინიშნა ეკონომიკის ყველა მსხვილ დარგში. სექტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ზრდის განსაკუთრებით მაღალი ტემპი დაფიქსირდა “ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების” სფეროში, სადაც 2008 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 58.0 პროცენტით გაიზარდა. “განათლების” და “კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განვეის” სფეროში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დასაქმებულთა საშუალო ხელფასების ზრდამ შესაბამისად 43.8 და 29.2 პროცენტი შეადგინა. დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასების მნიშვნელოვანი მატებით გამოირჩეოდა „სასტუმროებისა და რესტორნების“ (44.2 პროცენტი), „ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის“ (38.0 პროცენტი) და „თევზჭერისა და მეთევზეობის“ (37.4 პროცენტი) სფეროები. შედარებით მცირე ზრდა იყო „საფინანსო საქმიანობის“ (24.0 პროცენტი) და „ოპერაციები უძრავი ქონებით“ (18.8 პროცენტი) სექტორებში დაქირავებულთა საშუალო თვიურ ხელფასებში. ზრდის უარყოფითი ტემპი დაფიქსირდა ეკონომიკის ორ დარგში. კერძოდ, „სამთომოპოვებით მრეწველობასა“ და „მშენებლობაში“, სადაც ხელფასების კლებამ, შესაბამისად 5.8 და 0.6 პროცენტი შეადგინა.

2008 წლის IV კვარტალში შენარჩუნებულ იქნა მნიშვნელოვანი განსხვავებები საშუალო ხელფასის დონებს შორის საქმიანობათა სახეების მიხედვით. ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა „საფინანსო საქმიანობასა“ (1337.8 ლარი) და „სახელმწიფო მმართველობაში“ (924.6 ლარი), რაც მთლიანი ეკონომიკის მასშტაბით საშუალო ხელფასის დონეს შესაბამისად 2.3 და 1.6-ჯერ აჭარბებს. ყველაზე დაბალი საშუალო ხელფასი აღინიშნა „თევზჭერა, მეთევზეობის“ (208.9 ლარი) და „განათლების“ (259.1 ლარი) სფეროებში დაქირავებით დასაქმებულთა შორის და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით საშუალო ხელფასის 35.7 და 44.3 პროცენტი შეადგინა, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ სფეროებში დასაქმებულთა ხელფასების მატება ზრდის ტენდენციით გამოირჩევა.

2008 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ერთ დასაქმებულზე წარმოებული დამატებითი ღირებულება შემცირდა

ცხრილი 2.1.1


2008 წლის IV კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2007 წლის IV კვარტალთან შედარებით (პროცენტი).

	ნომინალური ხელფასი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	128.5
თევზჭერა, მეთევზეობა	137.4
სამთომოპოვებითი მრეწველობა	94.2
დამამუშავებელი მრეწველობა	130.1
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	127.2
მშენებლობა	99.4
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მომხმარებლის საგნების რემონტი	129.5
სასტუმროები და რესტორნები	144.2
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	137.0
საფინანსო საქმიანობა	124.0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების განვეა	118.8
სახელმწიფო მმართველობა	123.4
განათლება	143.8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	158.0
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განვეა	129.2
სულ	129.7

3 წყარო: სანარმო და შრომის მიმდინარე სტატისტიკის დაკვირვების მონაცემები.

ბრაზიკი 2.1

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი საქმიანობათა სახეების მიხედვით 2008 წლის IV კვარტალში



ცხრილი 2.1.2

2008 წლის IV კვარტალში ერთ დასაქმებულზე წარმოებული რეალური დამატებითი ღირებულება 2007 წლის IV კვარტალთან შედარებით (პროცენტი)

საქმიანობა	რეალური დამატებითი ღირებულება
სოფლის მეურნეობა	81.2
მრეწველობა	87.4
მშენებლობა	89.5
ვაჭრობა	107.2
სასტუმროები და რესტორნები	93.9
ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა	70.1
საფინანსო შუამავლობა	63.7
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	160.6
სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა	106.0
განათლება	134.0
ჯანდაცვა	135.2
მომსახურების სხვა სახეები	90.6
სულ	95.1

და რეალურმა კლებამ 4.9 პროცენტი შეადგინა (რაც 20.9 პროცენტით ნაკლებია 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით). „მომსახურების სხვა სახეების“ სფეროში ერთ დასაქმებულზე წარმოებული რეალური დამატებითი ღირებულება 2,6-ჯერ შემცირდა. მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა „საფინანსო შუამავლობის“, „ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის“, „სოფლის მეურნეობის“ და „მრეწველობის“ სექტორებში (შესაბამისად – 36.3, 29.9, 18.8 და 12.6 პროცენტი). შედარებით მცირე კლება იყო „მშენებლობის“ და „სასტუმროების და რესტორნების“ სფეროებში. ერთ დასაქმებულზე

წარმოებული დამატებითი ღირებულების საერთო კლების ტენდენციის მიუხედავად, 2008 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ზრდა დაფიქსირდა ეკონომიკის რამდენიმე სექტორში. შრომის პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარისა და კომერციული საქმიანობის“ (60.6 პროცენტი), „ჯანდაცვის“ (35.2 პროცენტი) და „განათლების“ (34.0 პროცენტი) სფეროებში, ხოლო „ვაჭრობის“ და „სახელმწიფო მართვისა და თავდაცვის“ სექტორებში ერთ დასაქმებულზე წარმოებული რეალური დამატებითი ღირებულების ზრდამ შესაბამისად 7.2 და 6.0 პროცენტი შეადგინა.

შრომის პროდუქტიულობის კლება, მიუთითებს რა მიწოდების შემცირებაზე, ინფლაციის განვითარების რისკის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამავე დროს, ხელფასების ზრდა, რასაც ადგილი ჰქონდა განხილულ პერიოდში, ინვესტაციაში მიწოდების მოთხოვნი საგან კიდევ უფრო საგრძნობ ჩამორჩენას და შესაბამისად, ხელს უწყობდა ინფლაციის მაღალი ტემპებით მომატებას. მიუხედავად ამ ფაქტორებისა კვარტლის განმავლობაში წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა საგრძნობლად მოიკლო, რაც გამომწვეული იყო მოთხოვნისა და მიწოდების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორებით.

2.2. მონეტარული აბრეშატიკი

2009 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით, სარეზერვო ფულის მაჩვენებელი 165,1 მლნ ლარით შემცირდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოს 1266,8 მლნ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვითაც, გასული წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, მონეტარული ბაზა 75,8 მლნ ლარით (5,6 პროცენტი) შემცირდა. წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით კი სარეზერვო ფულის წლიურმა კლებამ 10.4 პროცენტი შეადგინა.


საანგარიშო პერიოდში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის მოთხოვნამ მიწოდებას გადააჭარბა და წმინდა მოთხოვნამ

121,0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2009 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკი, სავალუტო ბაზარზე ჩამოყალიბებული კონიუნქტურის შესაბამისად, ძირითადად, ორმხრივ ინტერვენციებს ახორციელებდა, თუ არ ჩავთვლით თებერვლის თვეს, როცა ეროვნული ბანკი მხოლოდ გაყიდვებს ახორციელებდა. მარტის თვეში ასევე ამოქმედდა სავალუტო აუქციონები, რომლის შედეგადაც ეროვნული ბანკის მიერ წმინდა გაყიდვებმა 14,0 მლნ დოლარი შეადგინა. სულ, ბირჟის და სავალუტო აუქციონების შედეგების გათვალისწინებით წმინდა გაყიდვებმა 142,1 მლნ აშშ დოლარი (დაახლოებით, 237,5 მლნ ლარის ეკვივალენტი) შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, შიდასამთავრობო კონვერტაციების შედეგად, საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვამ 32,1 მლნ აშშ დოლარი (დაახლოებით, 53,6 მლნ ლარის ეკვივალენტი) შეადგინა. უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული აღნიშნული ოპერაციების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში მიმოქცევიდან ამოღებული იქნა, დაახლოებით, 183,9 მლნ ლარი.

პირველ კვარტალში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 68,4 მლნ ლარით შემცირდა და, მარტის თვის ბოლო მონაცემის მიხედვით, მისმა მოცულობამ 811,6 მლნ ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვის ხელშეწყობის მიზნით, სადეპოზიტო სერთიფიკატების ემისიას აგრძელებდა. აღნიშნულ პერიოდში განთავსდა 115,5 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერთიფიკატები, ხოლო დაიფარა 78,0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატები. 2008 წლის დეკემბრის ბოლოსთვის მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერთიფიკატების მოცულობა 77,4 მლნ ლარიდან მარტის ბოლოსთვის 113,7 მლნ ლარამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში კომერციული ბანკები აქტიურად იყენებდნენ რეფინანსირების მექანიზმს – მარტის ბოლოსათვის ამ ინსტრუმენტით გაცემული სესხების

ბრაზიკი 2.2
სარეზერვო ფულის ცვლილება



ნაშთმა 43,3 მლნ ლარი შეადგინა.

ამ ოპერაციების შედეგად, 2009 წლის პირველ სამ თვეში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 42,1 მლნ ლარით შემცირდა და 89,9 მლნ ლარს გაუტოლდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგად, საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფულის მაჩვენებელი 165,1 მლნ ლარით შემცირდა. მათ შორის, კომერციული ბანკების საქართველოს ეროვნულ ბანკში ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთებმა 15,6 მლნ ლარით მოიკლო და 125,6 მლნ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდისათვის 149,5 მლნ ლარით შემცირდა მიმოქცევაში არსებული ნალდი ფული და მისმა მოცულობამ 1141,2 მლნ ლარი შეადგინა.

2.2.1. ფართო ფული

2009 წლის პირველ კვარტალში ფართო ფული M3-ის აგრეგატი 583,5 მლნ ლარით შემცირდა და 3674,9 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში უცხოური ვალუტით დეპოზიტები 362,9 მლნ ლარით (15,1 პროცენტი) შემცირდა და მარტის ბოლოს 2041,3 მლნ ლარი შეადგინა. ასევე, 98,2 მლნ ლარით (12,7 პროცენტით) შემცირდა ეროვნული ვალუტით დეპოზიტები და პერიოდის ბოლოს 673,4 მლნ ლარს გაუტოლდა.

ცხრილი 2.2.1

სარეზერვო ფულის დინამიკა (2008 წ., დეკემბერი-2009 წ., მარტი, თვის ბოლო მონაცემებით) (ათასი ლარი)

	დეკ-08	იან-09	თებ-09	მარ-09
სარეზერვო ფული	1,431,893	1,314,986	1,273,230	1,266,759
ფული მიმოქცევაში	1,290,703	1,165,976	1,140,243	1,141,167
ბანკების დეპოზიტები	141,190	149,010	132,987	125,592
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	141,190	149,010	132,987	125,592

ცხრილი 2.2.2

სარეზერვო ფულის დინამიკა (2008 წ., დეკემბერი-2009 წ., მარტი, თვის საშუალო მონაცემებით) (ათასი ლარი)

	დეკ-08	იან-09	თებ-09	მარ-09
სარეზერვო ფული	1,354,180	1,284,901	1,245,729	1,278,369
ფული მიმოქცევაში	1,226,474	1,179,213	1,128,597	1,115,190
ბანკების დეპოზიტები	127,706	105,688	117,133	163,179
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	127,706	105,688	117,133	163,179


ცხრილი 2.2.1.1

ფულადი აგრეგატების ყოველთვიური ცვლილება (2008 წ., დეკემბერი-2009 წ., მარტი, თვის ბოლო მონაცემებით) (ათასი ლარი)

	დეკ-08	იან-09	თებ-09	მარ-09
ფართო ფული (M3)	4,258,362	3,993,585	3,870,699	3,674,850
ფულადი მასა (M2)	1,854,131	1,707,794	1,631,696	1,633,590
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	1,082,554	991,498	961,048	960,173
ლარები მიმოქცევაში	1,290,703	1,165,976	1,140,243	1,141,167
დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	771,577	716,296	670,648	673,417
დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	2,404,231	2,285,791	2,239,003	2,041,260

ბრაზიკი 2.3.1

ბანკების ლარის საკორესპონდენტო ანგარიშებზე არსებული ნაშთი, საშუალოდ დასაცავი ნაშთი და ლიკვიდობის სიჭარბე / დეფიციტი



ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდში 11,9 პროცენტით (220,5 მლნ ლარი) შემცირდა და პერიოდის ბოლოს 1633 მლნ ლარი შეადგინა.

ფართო ფული M3-ის მაჩვენებლის წლიურმა კლებამ 8,7 პროცენტი შეადგინა, ხოლო ფართო ფული M2-ის მაჩვენებელიც ასევე შემცირებულია და წლიურმა კლებამ 27.7 პროცენტი შეადგინა.

2.3. მონეტარული ინსტრუმენტები

2009 წლის პირველ კვარტალში კომერციული ბანკებიც მალალი ეკონომიკური რისკებიდან გამომდინარე ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ლიკვიდური თანხების მნიშვნელოვანი რეზერვები და კრედიტების გაცემას უფრო შეზღუდულად ახორციელებდნენ. 2009 წლის პირველ კვარტალში ლარით კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკაზე გაცემული სესხები 26 პროცენტით შემცირდა 2008 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით.

ეკონომიკური და საბანკო აქტივობის შენელების, აგრეთვე ინფლაციის ტემპების მკვეთრი შემცირების ფონზე მონეტარული პოლიტიკა კვლავ შემსუბუქდა პირველ კვარტალში. ამ შემთხვევაში სებ-ის მიზანი ეკონომიკის ნახალისება იყო. მას შემდეგ, რაც მონეტარული პოლიტიკის ახალი ძირითადი ინსტრუმენტი – რეფინანსირების სესხები შემოღებული იქნა სექტემბრის დასაწყისში, მისი მინიმალური საპროცენტო განაკვეთი სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით თანდათანობით შემცირდა და 25 დეკემბრიდან 8 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 19 თებერვლიდან 7 პროცენტი და 19 მარტიდან 6,5 პროცენტი შეადგინა⁴. სულ, პირველ კვარტალში, ბანკების მიერ სებ-გან აღებული იქნა 689,5 მლნ ლარის რეფინანსირების ერთკვირიანი სესხები, როცა 2008 წლის მეოთხე კვარტალში მხოლოდ 270,7 მლნ ლარის სესხი. გაზრდილი აქტივობა იმით აიხსნება, რომ

4 სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 15 აპრილის გადაწყვეტილებით პოლიტიკის განაკვეთი 6 პროცენტამდე შემცირდა.

იანვარ-მარტში რამდენიმე ბანკი რეგულარულად მონაწილეობდა სესხების აუქციონებში. მათთვის რეფინანსირების სესხები დაფინანსების სტაბილურ და იაფ წყაროს წარმოადგენდა.


იანვარში სებ-ის მიერ გაიცა 233,7 მლნ. ლარის ოდენობის რეფინანსირების სესხი, საშუალო წლიური შენონილი 8,5 პროცენტით, თებერვალში 237 მლნ ლარის სესხი 8,2 საშუალო წლიური შენონილი პროცენტით და მარტში 218,6 მლნ ლარის სესხი 7,6 საშუალო წლიური შენონილი პროცენტით. რეფინანსირების სესხების აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შენონილი პროცენტი შემცირდა პოლიტიკის ძირითადი განაკვეთის ცვლილებასთან ერთად.

2009 წლის პირველ კვარტალში საერთოდ არ ყოფილა მოთხოვნა ერთდღიან სესხებზე კომერციული ბანკების მხრიდან. მათი სარგებლობისათვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთი წლის დასაწყისიდან 19 მარტამდე 13 პროცენტი იყო, ხოლო შემდეგ 11 პროცენტამდე შემცირდა. ამავე დროს, 2009 წლის პირველ კვარტალში, მხოლოდ ერთმა ბანკმა ისარგებლა ბოლო ინსტანციის სესხით. გაცემული იქნა 20 მლნ ლარის სესხი 13 პროცენტის სარგებლით უზრუნველყოფის გარეშე. ერთდღიან და ბოლო ინსტანციის სესხებზე მოთხოვნის შემცირება იმაზე მიუთითებს, რომ საბანკო აქტივობის შესუსტების ფონზე ბანკები თავად ინარჩუნებდნენ საკმარის ლიკვიდობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავდნენ დაფინანსების უფრო იაფ წყაროს – რეფინანსირების სესხებს.

კომერციული ბანკებისთვის ლიკვიდობის მართვის ხელშეწყობისთვის კვლავაც ხორციელდებოდა სამთვინიანი სადეპოზიტო სერთიფიკატების ემისია. სამთვინიანი სადეპოზიტო სერთიფიკატებზე მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა და 13 პროცენტს შეადგენდა. იანვარ-მარტში მათზე მოთხოვნა გაიზარდა. კერძოდ, განთავსდა 115,5 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატები, როცა, 2008 წლის ოქტომბერ – დეკემბერში მხოლოდ 93,1 მლნ. ლარის სერთიფიკატები. 2009


ბრაჟიკი 2.3.2

რეფინანსირების სესხები, მათი საშუალო შენონილი პროცენტი და პოლიტიკის ძირითადი განაკვეთი, 2009 წლის I კვარტალი



ბრაჟიკი 2.3.3

საბანკო სისტემიდან სებ-ის მიერ სადეპოზიტო სერთიფიკატებით ლიკვიდობის ამოღება, ლიკვიდობის წმინდა მიწოდება და ბანკებისათვის სესხების გაცემა




წლის პირველ კვარტალში აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შენონილმა პროცენტმა 13 პროცენტი შეადგინა.

2009 წლის პირველ კვარტალში სადეპოზიტო სერთიფიკატებით ლიკვიდობის ამოღება გაიზარდა და 31 მარტისთვის 113,7 მლნ ლარი შეადგინა. თუმცა, წმინდა ამოღების მოცულობა კომერციულ ბანკებზე სებ-ის მიერ გაცემული სესხების გათვალისწინებით ნეგატიური იყო, ანუ, ადგილი ჰქონდა მიწოდებას, რომელმაც კვარტლის ბოლოსათვის 89,5 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანობაში, საბანკო სისტემისათვის ლიკვიდობის მიწოდებამ სარეზერვო ფულის 7,1 პროცენტი შეადგინა, როცა 2008 წლის 31 დეკემბრისათვის 9,2 პროცენტი იყო.


გრაფიკი 2.4

ბანკთაშორისი მოკლევადიანი სესხების ინდექსები და პოლიტიკის განაკვეთი, 2009 წლის პირველი კვარტალი




გრაფიკი 2.5.1

დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში



გრაფიკი 2.5.2

დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში



2.4. ბანკთაშორისი ბაზარი

2009 წლის პირველ კვარტალში ბანკთაშორისი ბაზარზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები კვლავ შემცირდა და 636,6 მლნ ლარი შეადგინა, როცა 2008 წლის მეოთხე კვარტალში 1 380,4 მილიონი ლარი, ხოლო მესამე და მეორე კვარტლებში, შესაბამისად, 1 547 მილიონი ლარი და 2 964 მილიონი ლარი იყო. ამავე დროს, იანვარ-მარტში წინა კვარტალთან შედარებით შემცირდა გარიგებები აშშ დოლარითაც, 532,7 მილიონიდან 360 მილიონამდე. რაც შეეხება გარიგებებს ევროთი, მათი მოცულობა გაიზარდა შესაბამის პერიოდში 247 მილიონიდან 361,8 მილიონ ევრომდე.

ბანკთაშორისი ბაზარზე კვლავაც მოკლევადიანი გარიგებები დომინირებენ. მაგალითად, ლარით გაცემული სესხების 91 პროცენტი 1–დან 7 დღემდე სესხებზე მოდის, ხოლო ერთი საოპერაციო დღით გაცემული სესხების წილი კი მთლიან სესხებში 66 პროცენტია. მსგავსია სიტუაცია აშშ დოლარითა და ევროთი გაცემული სესხების ბაზარზე. შესაბამისად, 77 და 74 პროცენტი (ერთი საოპერაციო დღით გაცემული სესხებისათვის).

2009 წლის პირველ კვარტალში ბანკთაშორისი ბაზარზე ლარის საკრედიტო რესურსი კვლავ გაიზარდა. კერძოდ, იანვარ-მარტში ერთი საოპერაციო დღით ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა პროცენტმა 5,3 პროცენტი შეადგინა, როცა 2008 წლის მეოთხე და მესამე კვარტლებში, შესაბამისად, 6,4 პროცენტი და 9,0 პროცენტი იყო. ანალოგიურად შემცირდა 7 დღით გაცემულ სესხებზე საშუალო შეწონილი პროცენტი. მისი განაკვეთი 2009 წლის პირველ კვარტალში 10,8 პროცენტი იყო, როცა 2008 წლის მეოთხე კვარტალში 11,2 პროცენტი და მესამე კვარტალში 13,5 პროცენტი.

ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებაზე ინფორმაციას TIBR_1 და TIBR_7⁵ ინდექსებიც იძლევა. აღსანიშნავია, რომ ერთდღიანი

⁵ TIBR-1 ინდექსი, მოიცავს სესხებს, რომელთა ვადიანობა არის 1 საოპერაციო დღე და არის არაუზრუნველყოფილი. TIBR-7 ინდექსი მოიცავს სესხებს, რომელთა ვადიანობა არის 7 დღემდე და მოიცავს ყველა იმ არაუზრუნველყოფილ სესხს რომელიც არ შედის TIBR1-ის განაგარიშებაში.

ბანკთაშორისი სესხები ყოველდღე გაიციმოდა, მაშინ, როცა ზოგიერთ დღეს სხვა ვადიანობის სესხების გაცემა საერთოდ არ მომხდარა. იანვარ-მარტში ერთდღიან სესხებზე პროცენტების შემცირებაზე მიუთითებს TIBR_1 ინდექსის კლება. რაც შეეხება, TIBR_7 ინდექსს, მონაცემთა სიმცირე და მათი მნიშვნელოვანი რყევა საშუალებას არ გვაძლევს დავადგინოთ კავშირი სებ-ის პოლიტიკისა და ბანკთაშორისი სესხების პროცენტებს შორის.


2.5 საბანკო სექტორი

საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 2009 წლის პირველ კვარტალში 461,1 მლნ ლარით (ანუ 14,5 პროცენტით) შემცირდა და 2714,7 მლნ ლარი შეადგინა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დეპოზიტების მოცულობა შემცირდა 99,6 მლნ ლარით.


უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ეროვნული ვალუტით გამოსახული მაჩვენებელი შემცირდა 363,0 მლნ ლარით და 2041,3 მლნ ლარს შეადგენს. უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების კლება აღინიშნება, როგორც მიმდინარე ანგარიშებზე (118,9 მლნ აშშ დოლარით), ასევე ვადიან დეპოზიტებზე (101,1 მლნ აშშ დოლარით). უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები (გამოსახული აშშ დოლარით) შემცირებულია 219,9 მლნ აშშ დოლარით (15,3 პროცენტით). უცხოური ვალუტის დეპოზიტების მოცულობის 70,2 პროცენტი ვადიან დეპოზიტებს უკავია. აღსანიშნავია, რომ იანვარში შეინიშნებოდა ვადიანი დეპოზიტების წილის შემცირება, ხოლო თებერვალში და მარტში პოზიტიური ტენდენცია ჩამოყალიბდა და მისი ხვედრითი წილი გაიზარდა. შემცირებულია იურიდიული პირების დეპოზიტებიც უცხოურ ვალუტაში 107,6 მლნ აშშ დოლარით (18,7 პროცენტით).

ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები საანგარიშო პერიოდში შემცირდა 98,2 მლნ ლარით (12,7 პროცენტით) და 673,4 მლნ ლარი


ბრაზიკი 2.5.3
მოკლევადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში (მილიონი ლარი)



ბრაზიკი 2.5.4
მოკლევადიანი სესხები უცხოურ ვალუტაში (მილიონი ლარი)




ბრაზიკი 2.5.5
გრძელვადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში (მილიონი ლარი)




გრაფიკი 2.5.6

გრძელვადიანი სესხები უცხოურ ვალუტაში (მილიონი ლარი)



გრაფიკი 2.5.7

ვადაგადაცილებული დავალიანებები (მილიონი ლარი)



შეადგინა. ამასთან, ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების კლება მეტწილად იურიდიული პირების დეპოზიტებზე მოდის, რომელმაც 59,2 მლნ ლარით მოიკლო და 518,7 მლნ ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში, სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 2009 წლის მარტში დეკემბერთან შედარებით 0,5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და თვის ბოლოსთვის 75,2 პროცენტს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 0,9 პროცენტით გაიზარდა. ეროვნული ვალუტით მიღებულ დეპოზიტებზე ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიურმა საშუალო შენონილმა განაკვეთმა 10,2 პროცენტი შეადგინა და დეკემბერთან შედარებით 1,0 პროცენტული პუნქტით შემცირდა. უცხოური ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე კი, წლიური განაკვეთი დეკემბერთან შედარებით 1,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10,4 პროცენტს გაუტოლდა. უცხოურ ვალუტაში ფიზიკური პირების დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0,9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9,9 პროცენტი შეადგინა. 2008 წლის მარტში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 0,3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე 2,5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

2009 წლის საანგარიშო პერიოდში კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 318,4 მლნ ლარით შემცირდა და 5753,9 მლნ ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები შემცირდა 223,1 მლნ ლარით (13,4 პროცენტით) და 1441,2 მლნ ლარს გაუტოლდა. საანგარიშო პერიოდისათვის, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების 45,1 პროცენტი იურიდიულ პირებზე მოდის, ამასთან, 31,0 პროცენტი მოკლევადიანი სესხებია.

უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები 95,3 მლნ ლარით შემცირდა, 4312,8 მლნ ლარამდე. უცხოურ ვალუტაში დაკრედიტების მოცულობა, გამოსახული აშშ დოლარით, შემცირებულია 61,8 მლნ აშშ დოლარით (2,3 პროცენტი) და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 2582,5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ამ კატეგორიის სესხების 63,8 პროცენტი იურიდიული პირებისათვის გაცემული რესურსებია, ხოლო 76,6 პროცენტს გრძელვადიანი დაკრედიტება შეადგენს. უცხოური ვალუტით დაკრედიტების შემცირება, მეტწილად, გრძელ-

ვადიან სესხებზე მოდის. ეკონომიკის დარგების მიხედვით კლება მნიშვნელოვანწილად ვაჭრობის სფეროს სესხებზე აისახა.

მიუხედავად, წინა პერიოდთან შედარებით ეკონომიკის დაკრედიტების მოცულობის გარკვეული კლებისა, წლიური ზრდის ტემპი არსებითია და მარტის ბოლოსათვის 13,6 პროცენტს შეადგენს.

2009 წლის პირველ კვარტალში ვადაგადაცილებული სესხები 62,8 მლნ ლარით (39,4 პროცენტით) გაიზარდა და 222,0 მლნ ლარს გაუტოლდა.


საბანკო სისტემაში საპროცენტო განაკვეთები სესხებზე 2009 წლის პირველ კვარტალში, წინა პერიოდთან შედარებით, კლების მიმართულებით შეიცვალა და წლიური 22,4 პროცენტი შეადგინა. კერძოდ, ეროვნული ვალუტით სესხების საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთები 24,4 პროცენტია. ამავე პერიოდის განმავლობაში 0,5 პროცენტული პუნქტით, 21,4 პროცენტამდე შემცირდა უცხოური ვალუტით დაკრედიტების განაკვეთები. უცხოურ ვალუტაში იურიდიული პირებისთვის სესხები წლიური 18,8 პროცენტის ფარგლებში გაიცემოდა. 2008 წლის მარტთან შედარებით საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში სესხებზე გაიზარდა 2,3 პროცენტული პუნქტით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში სესხების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა 1,9 პროცენტული პუნქტით.

საანგარიშო პერიოდში შემოსავლიანობის აქტივებზე (ROA) და კაპიტალზე (ROE) დაფიქსირდა ნეგატიური მაჩვენებლები. 2009 წლის მარტის მდგომარეობით, შემოსავლების შეფარდება აქტივებთან -1,4 პროცენტი, ხოლო შემოსავლების შეფარდება კაპიტალთან -7,6 პროცენტი შეადგინა.


2.6. ბაცვლითი ქურსი უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდებით დგინდება.

მიწოდებას, ძირითადად, ქვეყანაში შემომავალი უცხოური ფულადი ნაკადები განაპირობებს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი

ბრაზიკი 2.5.8
საპროცენტო განაკვეთები სესხების და დეპოზიტების



ბრაზიკი 2.5.9
სეპოზიტების ზრდის ტემპი წინა თვესთან




პირდაპირ ინვესტიციებზე მოდის. ხოლო მოთხოვნა ძირითადად მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზეა დაფუძნებული. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების გაანალიზება და სხვა ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარება, რომლებიც, ერთი მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ხოლო, მეორე მხრივ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს განაპირობებენ.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, რომელიც ჩადებულ ინვესტიციაზე მაღალი ამონაგების მთავარი წინაპირობაა, წარმოადგენს ძირითად სტიმულს


ბრაზიკი 2.6.1

ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთები (საშუალო თვიური მონაცემები)




ბრაზიკი 2.6.2

2007 და 2008 წლის რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი დსთ-სა და ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში



ბრაზიკი 2.6.3

საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება (მლნ აშშ დოლარი)



ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოსაზიდად. ამავედროულად, დიდი მნიშვნელობა აქვს ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საბანკო სისტემაში საპროცენტო განაკვეთების ზრდა, როგორც გაცემულ სესხებზე, ასევე მოზიდულ დეპოზიტებზე რეალურად მიმდინარე წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომითა და მსოფლიო ფინანსური კრიზისით იყო გამოწვეული. სწორედ მსოფლიო ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე განვითარებულ ქვეყნებში ცენტრალური ბანკები ცდილობენ ეკონომიკის მაქსიმალურ სტიმულირებას და, შესაბამისად, შეიმჩნევა ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი კლება (2009 წლის მარტის მონაცემებით ამერიკის შეერთებულ შტატებში საპროცენტო განაკვეთი 0.2 პროცენტს, ევროკავშირში 2.8, ხოლო დიდ ბრიტანეთში 0.7 პროცენტს გაუტოლდა).

2008 წელს მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ცალსახად უარყოფითად იმოქმედა მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ეკონომიკურ განვითარებაზე. 2007 წელს საქართველოს რეალური მშპ-ის ზრდამ 12.4 პროცენტი შეადგინა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო განვითარებად ქვეყნებს შორის. სამწუხაროდ, 2008 წელს განვითარებულმა მოვლენებმა (მსოფლიო ფინანსური კრიზისი და აგვისტოში საქართველო-რუსეთის ომი) კარდინალურად შეცვალა წინა წლების ტენდენცია. მაშინ როდესაც პირველი ორი კვარტლის მონაცემებით საქართველოს რეალური მშპ-ის ზრდამ 8 პროცენტს გადააჭარბა, 2008 წლის ჯამური მონაცემებით აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2 პროცენტი შეადგინა.

სწრაფად განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია უცხოური კაპიტალის დიდი ოდენობით შემოდინება. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალია. შედეგად, საქართველო ინვესტიციების განხორციელებისათვის მიმზიდ-

ველ ქვეყნად ჩამოყალიბდა. სამწუხაროდ, აგვისტოს თვეში რუსეთის მიერ განხორციელებულმა აგრესიამ, რასაც მსოფლიო ფინანსური კრიზისიც ერთვოდა, ნეგატიურად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და, შესაბამისად, საგრძობლად შეამცირა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაც, რომელიც 2007 წლის 1,750 მილიონ დოლარიანი მაჩვენებლიდან 2008 წელს 1,280 მილიონ დოლარამდე დაეცა. ბუნებრივია, რომ ძირითადი კლება ბოლო ორ კვარტალში იყო.


ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოდინება ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუტის მიზიდების ზრდას განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, ეროვნული ვალუტის გამყარებას ემსახურება. უცხოური კაპიტალის შემოდინების საპირისპიროდ, ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდას იწვევს და შესაბამისად, განაპირობებს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას. საქართველოს მიმდინარე ანგარიში წლების განმავლობაში დეფიციტურია და დეფიციტი წლიდან წლამდე იზრდება.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 2008 წელს 2,850 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 42 პროცენტით გაიზარდა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 2004 წელს არსებული 5 პროცენტის მაჩვენებლის შემდეგ 2008 წელს 22 პროცენტამდე გაიზარდა. მიმდინარე ანგარიშის სისტემური გაუარესება, ძირითადად, საგარეო ვაჭრობის დეფიციტითაა გამოწვეული, რასაც, თავის მხრივ, იმპორტის ექსპორტზე მეტად ზრდა განაპირობებს.

მიმდინარე ანგარიშის ნეგატიური ტენდენციები ლარის გაცვლით კურსზე გაუფასურების მიმართულებით ზემოქმედებს, თუ აგვისტომდე კაპიტალის შემოდინების მოცულობით გამოწვეულმა პოზიტიურმა ეფექტმა გადაწონა მიმდინარე ანგარიშის ნეგატიური ზენოლის ეფექტი. შედეგად, ეროვნული ვალუტა სტაბილურად მყარდებოდა. საპი-


ბრაზიკი 2.6.4

სავალუტო ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული წმინდა შესყიდვები (მლნ აშშ დოლარი)




ბრაზიკი 2.6.5

სავალუტო ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ინტერვენციები (მლნ აშშ დოლარი)




ბრაზიკი 2.6.6

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის დინამიკა (2008 წელი)



ბრაზიკი 2.6.7

ლარის რეალური გაცვლითი კურსების დინამიკა (2009 წელი, იანვარი=100)



რისპიროდ, აგვისტოს ომის შემდგომ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საგრძნობმა შემცირებამ არსებული ტენდენციის ცვლილება განაპირობა და, უცხოურ ვალუტაზე ზედმეტად ჭარბი მოთხოვნის პირობებში, 2008 წლის მეოთხე კვარტალში ლარი გაუფასურდა. გაუფასურების ტენდენცია არ გაგრძელებულა 2009 წლის პირველ კვარტალში, როდესაც გაცვლითი კურსი ძირითადად მოკლევადიანი რყევებით გამოირჩეოდა და კონკრეტული ტენდენცია არ გააჩნდა.

ბოლო წლების განმავლობაში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკი ინტერვენციებს, ძირითადად, უცხოური ვალუტის შესასყიდად ახორციელებდა. 2008 წლის მესამე კვარტლიდან ქვეყანაში გაჩნდა უცხოურ ვალუტაზე ჭარბი მოთხოვნა და, შესაბამისად, ეროვნული ბანკი თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ინტერვენციებს უკვე ეროვნული ვალუტის შესყიდვის მიმართულებით ახორციელებდა (ერთადერთი გამონაკლისი 2009 წლის მარტის თვე აღმოჩნდა).

2009 წლის პირველ კვარტალში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1 პროცენტით გამყარდა, რაც ძირითადად რუსული რუბლის და

თურქული ლირის მიმართ ლარის რეალური გაცვლითი კურსის შესაბამისად 5.07 და 4.68 პროცენტით გამყარებამ განაპირობა. ამავდროულად, ლარის ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ 2.77, ხოლო ევროს მიმართ 0.52 პროცენტით.

2.7. გამოშვება და მოთხოვნა

2008 წლის IV კვარტალში უარყოფითი ტენდენციები საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით გაგრძელდა. ნომინალურ გამოსახულებაში საქართველოს მშპ მხოლოდ 2.6 პროცენტით გაიზარდა და 5 098.8 მლნ. ლარი შეადგინა. რეალურ გამოსახულებაში მშპ-ის კლება 2.5 პროცენტი შეადგინა.

IV კვარტალში ისეთ მძლავრ უარყოფით შოკს, რომელსაც აგვისტოს ომი წარმოადგენდა, დაემატა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა. შედეგად, საქართველოს ეკონომიკის უმთავრეს სექტორებში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, რეალური ზრდის არსებითი დაცემა მოყვა. IV კვარტალში განსაკუთრებით აღსანიშნავია რეალური ზრდის დაცემა ისეთ სექტორებში, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა (-15.8 პროცენტი), ტრანსპორტი (-20.1 პროცენტი), საფინანსო შუამავლობა (-25.6 პროცენტი), მშენებლობა (-10.4 პროცენტი). უარყოფითი ზრდა ასევე დაფიქსირდა გადაამამუშავებელ მრეწველობაში, ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება-განაწილების, უძრავი ქონებით ოპერაციების სექტორებში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო შუამავლობის სექტორის დიდი დაცემა IV კვარტალში მნიშვნელოვანწილად წლის ბოლოსათვის ნეგატიურად კლასიფიცირებული სესხების დარეზერვების ერთჯერადი ღონისძიებებით აიხსნება. მეორეს მხრივ, პრობლემური სამშენებლო სექტორის 10-პროცენტთან დაცემაში, რაც მნიშვნელოვან გაუმჯობესებას წარმოადგენდა წინა კვარტალში დაფიქსირებულ 32-პროცენტთან

კლებასთან შედარებით, არსებითი როლი ითამაშა საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებულმა სამ-შენებლო პროექტებმა.

IV კვარტალში დადებითი ზრდის ტემპები ეკონომიკის მხოლოდ რამდენიმე სექტორში შენარჩუნდა. აღსანიშნავია, რომ ამ დარგებში არსებითი როლი უჭირავს საბიუჯეტო დანახარჯებთან დაკავშირებულ სექტორებს. კერძოდ, ეს ეხება უშუალოდ „სახელმწიფო მმართველობას“ (10.2 პროცენტი), ისევე როგორც ბიუჯეტიდან არსებითი დაფინანსების მქონე განათლების (6.5 პროცენტი) და ჯანდაცვის (5.7 პროცენტი) სექტორებს. მთლიანობაში, ზემოთ მოყვანილი სამი სექტორის გავლენამ მშპ-ის ზრდაზე 2.2 პროცენტული პუნქტი შეადგინა. სხვა სექტორებიდან, პირველ რიგში, გამოსარჩევია მაღალი ხვედრითი წილის მქონე ვაჭრობის სექტორი (6.4 პროცენტი). ასევე, მაღალი ზრდა დაფიქსირდა სასტუმროებისა და რესტორნების და სამთომოპო-ვებით სექტორებში.

2.7.1. კერძო და სახელმწიფო მოხმარება

2008 წლის IV კვარტალში ნომინალური მოხმარების ზრდის ტემპები შემცირდა წინა კვარტლებთან შედარებით, თუმცა ორნიშნა ზრდა მაინც შენარჩუნდა. ჯამში, კერძო და სახელმწიფო მოხმარება 10.9 პროცენტით გაიზარდა და 5 262.3 მლნ. ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ IV კვარტლის მოხმარება მშპ-ის 103.2 პროცენტს უდრიდა.

როგორც ქვემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, მოხმარება პრაქტიკულად ყველა კვარტალში განსაზღვრავდა ნომინალური მშპ-ის ქცევას. ამგვარად, 2009 წლის განმავლობაში მოხმარების მოსალოდნელი კლება, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული პირობების გაუარესებასთან და როგორც წესი, კრიზისულ მდგომარეობაში მოულოდნელობისაგან თავის დასაზღვევად მომხმარებლის მიერ შემოსავლებიდან დანაზოგების წილის ზრდასთან, უარყოფითად იმოქმედებს მშპ-ზე.


ცხრილი 2.7

ეკონომიკური სექტორების წვლილი საქართველოს მშპ-ში (პროცენტი) 2008 წლის IV კვარტალი

	რეალური ზრდის ტემპი	ხვედრითი წილი მშპ-ში	წვლილი მშპ-ის ზრდაში
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	-15.8%	7.4%	-1.2%
სამთომოპოვებითი მრეწველობა	20.3%	0.5%	0.1%
გადამამუშავებელი მრეწველობა	-3.6%	8.3%	-0.3%
ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	-15.2%	2.1%	-0.3%
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ მშენებლობა	-10.6%	3.2%	-0.3%
	-10.4%	6.1%	-0.6%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	6.4%	14.1%	0.9%
სატუმროები და რესტორნები	12.8%	2.5%	0.3%
ტრანსპორტი, დასამარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	-20.1%	5.8%	-1.2%
კავშირგაბმულობა და ფოსტა	3.4%	3.2%	0.1%
საფინანსო საქმიანობა	-25.6%	1.7%	-0.4%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	-5.8%	3.3%	-0.2%
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	2.2%	2.2%	0.0%
სახელმწიფო მმართველობა	10.2%	15.6%	1.6%
განათლება	6.5%	4.0%	0.3%
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	5.7%	4.5%	0.3%
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	-0.3%	3.9%	0.0%
შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება	2.0%	0.1%	0.0%
საქმიან აქტივობაში ფინანსური შუამავლობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	22.8%	-1.2%	-0.3%
მშპ საბაზისო ფასებში	-2.1%	87.3%	-1.9%
გადასახადები პროდუქციაზე	-4.3%	13.1%	-0.6%
სუბსიდიები პროდუქციაზე	12.6%	-0.4%	-0.1%
მშპ საბაზრო ფასებში	-2.5%	100.0%	-2.5%

გრაფიკი 2.7.1

მშპ-ისა და მოხმარების კვარტალური დონე, 2003-2008



2.7.2. ინფლაციის

მთლიანი კაპიტალის ფორმირების ნომინალური ღირებულება 2008 წლის IV კვარტალში გაიზარდა წინა კვარტალთან შედარებით 204 მლნ. ლარით და 1 134.9 მლნ. ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვანწილად უკავშირდებოდა IV კვარტალის განმავლობაში სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. ამასთან, წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, მთლიანი კაპიტალის ფორმირების დონე მაინც შემცირდა და კლებამ 70 მლნ. ლარი შეადგინა.

2.7.3. მშპ-ის 2009 წლის პირველი კვარტალის შეფასება და 2009 წლის პროგნოზი

უახლესი ინფორმაციის მიღებასთან ერთად ხდება მშპ-ის რეალური ზრდის შეფასებების განახლება. ერთი მხრივ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის

მასშტაბების გაფართოება და მეორე მხრივ, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ზრდის შეფასებების გაურკვევლობის დონეს. ამჟამად, 2009 წლის I კვარტალის მშპ-ის კლება დღევანდელი გადასახედიდან, სულ ცოტა, 3 პროცენტს შეადგენს. ამასთან, შეფასების შეცდომის რისკები უფრო უარყოფითი ხასიათისაა. გაუარესება მოსალოდნელია საქართველოს სექტორების უმრავლესობაში, რასაც გარკვეულწილად უნდა ამსუბუქებდეს ფისკალური სტიმულირების სახელმწიფო პროგრამები.

2009 წლის მშპ-ის პროგნოზიც შესაბამისად გაუარესებულია, პირველ რიგში, წლის მეორე ნახევარში ეკონომიკის გაჯანსაღების გართულებული პირობების ფონზე. დღეისათვის მშპ-ის წლიური ზრდა 0 პროცენტის ფარგლებში არის მოსალოდნელი და აქაც, შეფასების რისკები უარყოფით ხასიათს ატარებს.

ჩანართი: მსოფლიოს ეკონომიკური პერსპექტივები

2009 წლის პირველი კვარტალის დასრულების შემდეგ გაკეთდა პროგნოზები გლობალურ ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. საერთაშორისო ორგანიზაციების უმეტესობა თანხმდება, რომ 2008 წელს დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური რეცესია გაგრძელდება უფრო დიდ ხანს და გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღებას დასჭირდება უფრო მეტი დრო, ვიდრე ეს 2008 წლის ბოლოს იყო მოსალოდნელი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ აპრილში გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო წარმოება 2009 წელს 1.3 პროცენტით შემცირდება. აღნიშნული პროგნოზი წარმოადგენს გაუარესებას 2008 წლის ბოლოს გაკეთებულ პროგნოზებთან შედარებით, როდესაც მსოფლიო ეკონომიკის ერ-

თპროცენტიანი ზრდა იყო მოსალოდნელი. გლობალური წარმოების მსგავს დაცემას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ადგილი არ ჰქონია.

2009 წლის პროგნოზების გაუარესება, პირველ რიგში, დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის უარყოფითი შედეგები დაუძლეველი დარჩება წლის განმავლობაში. სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლების აქტიური ღონისძიებების მიუხედავად, 2008 წლის მეოთხე კვარტალში განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი უპრეცედენტო 7.5 პროცენტით შემცირდა წინა კვარტალთან შედარებით და აღნიშნული ტენდენციის გაგრძელება ნავარაუდევია 2009 წლის პირველ კვარტალშიც. განვითარებული ქვეყნების მხრიდან ერთობლივი მოთხოვნის შემცირება მნიშვნელოვნად

დააზარალებს განვითარებად ქვეყნებსაც, განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც ძლიერად არიან დამოკიდებული საქონლის ექსპორტზე.

გლობალურ საფინანსო ბაზრებზე კვლავ დაბალი აქტივობა აღინიშნება და კერძო სექტორის დაკრედიტების შემცირებული დონის შენარჩუნება მოსალოდნელია 2009-2010 წლების განმავლობაში. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ჯერ კიდევ ხელს უშლის საფინანსო დანაკარგებთან დაკავშირებული გაურკვევლობა. 2009 წლის აპრილის გლობალური ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის შეფასებით, მსოფლიოში 2007—2010 წლების პერიოდში წარმოქმნილი მთლიანი სავალო დანაკარგების მოსალოდნელი ჩამოწერა, რომელიც დაკავშირებულია აშშ-ის უიმედო აქტივებთან, გაზრდილია 2.2 ტრილიონი დოლარიდან (იანვრის თვეში გაკეთებული პროგნოზებით) 2.7 ტრილიონ დოლარამდე. აღნიშნული დანაკარგების ორი მესამედი ბანკებს დააწვება, ხოლო დანარჩენი – სადაზღვევო კომპანიებს და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს. თავის მხრივ, განვითარებადი ქვეყნები მსოფლიოს ფინანსური ბაზრებიდან რესურსების მოზიდვის გაუარესებას ნაანყდებიან, რის შედეგადაც კაპიტალის შემოდინება განვითარებად სამყაროში მკვეთრად შემცირდება, ხოლო მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ ნელი ტემპებით მოხდება.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 2009 წლის განმავლობაში მთელს მსოფლიოში მოსალოდნელი არის აქტიური მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება, როგორც მონეტარული, ასევე ფისკალური ინსტრუმენტების გამოყენებით. მსოფლიოს ცენტრალური ბანკები გააგრძელებენ მონეტარული პოლიტიკის შერბილებას. იმ ვითარებაში, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ძირითადი საპროცენტო განაკვეთები ნული პროცენტის ფარგლებში იქნება, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ცენტრალური ბანკების მიერ სხვა, არაორთოდოქსალური

ზომების მიღებას, მათი ბალანსების სიდიდის და სტრუქტურის ცვლილების მეშვეობით.

მრავალი ქვეყნის მიერ განხორციელებულია 2008 წლის მეორე ნახევარში დაწყებული ან დაგეგმილი ფისკალური სტიმულირების პაკეტები. ამ უკანასკნელის მთლიანი მოცულობა მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების ოცეულში 2009 წელს მათი მშპ-ის 2 პროცენტს მიაღწევს, ხოლო 2010 წელს - 1.5 პროცენტს. ფისკალური სტიმულირების შედეგად, მკვეთრად გაიზრდება საბიუჯეტო დეფიციტი, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში.


მსოფლიოში მიმართული მაკროზომების უპრეცედენტოდ დიდი მასშტაბის მიუხედავად, გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები დიდი გაურკვევლობით ხასიათდება. არსებობს სერიოზული ეჭვები იმის შესახებ, რომ არსებული მარკოეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება არ იქნება საკმარისი გაუარესებული ფინანსური პირობებისა და ეკონომიკური ზრდის ფონზე. ეკონომიკური გაურკვევლობის მდგომარეობაში ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა შეიძლება ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდეს. მოსახლეობის მიერ დაზოგვის ნორმების გაზრდა შესუსტებს ფისკალურ მულტიპლიკატორებს, ხოლო ფულის ქარბმა მიწოდებამ შეიძლება ხელი შეუშალოს ფინანსური ბაზრების გაჯანსაღებას, რომელიც კრედიტის გამოყენებით განხორციელებული საინვესტიციო გარიგებების (financial leverage) შემცირებასთან არის დაკავშირებული.

მეორეს მხრივ, აქტიური ფისკალური და მონეტარული ზომები გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენენ ბაზრების დარწმუნებაში, რომ ფინანსური პრობლემების გადაჭრა მტკიცედ ხორციელდება. ბაზრებზე დადებითი მოლოდინის ჩამოყალიბება კი სანდოობისა და მოხმარების ზრდის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.


2.8. საბარეო ვაჭრობა

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. აგვისტოს საომარი მოქმედებების და შემდგომ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით 2008 წლის მეოთხე კვარტალში პირველად დაფიქსირდა კლება, როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის

ბრაზიკი 2.8.1
ექსპორტი, იმპორტი და სავაჭრო დეფიციტი
(ათასი აშშ დოლარი)



ბრაზიკი 2.8.2
ექსპორტის პირველი ათეული 2008 წლის და 2009 წლის პირველ კვარტალებში



შემთხვევაში. 2009 წელს აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა და უფრო მეტად გაღრმავდა. 2009 წლის პირველ კვარტალში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 1202.2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 31 პროცენტით ნაკლებია. აქედან, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი 220.1 მლნ. აშშ დოლარი იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელს 33 პროცენტით ჩამორჩება, ხოლო იმპორტი – 982.1 მლნ.ი აშშ დოლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 30 პროცენტით ნაკლებია. შედეგად, სავაჭრო დეფიციტმა 762.0 მლნ.ი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 29 პროცენტით ნაკლებია.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგები, რის გამოც საერთაშორისო ფასების მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა, აისახა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე. 2009 წლის პირველ კვარტალში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის წლიური კლების ტემპი 33 პროცენტს შეადგენდა. ასეთი მკვეთრი კლება გამონვეულია, ძირითადად, საექსპორტო საქონელზე, შავ და ფერად ლითონებზე ფასების ვარდნით საერთაშორისო ბაზარზე, რის გამოც, აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი შემცირდა, როგორც ღირებულებით, ასევე მოცულობით გამოხატულებაში.

2009 წლის პირველ კვარტალში საექსპორტო საქონლის პირველი ათეულს შეადგენდა: ოქრო, მინერალური სასუქები, თხილი, მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, შავი ლითონების ჯართი, სპირტი, სპილენძის მადანი, პორტლანდცემენტი და ღვინო. მიუხედავად იმისა, რომ საექსპორტო საქონლის პირველი ათეულის შემადგენლობა მნიშვნელოვნად არ განსხვავდება წინა პერიოდებისგან, ათეულის შიგნით პროდუქციის პოზიციების განაწილება შეცვლილია. კერძოდ, ფეროშენადნობები, რომელიც გასული წლის განმავლობაში ქართულ ექსპორტში პირველ პოზიციაზე იყო, მეხუთე ადგილზე გადავიდა. ფეროშენადნობების ექსპორტის წლიური კლების

ტემპი ღირებულებით გამოხატულებაში 73,5 პროცენტს, ხოლო რაოდენობრივ გამოხატულებაში – 51 პროცენტს შეადგენდა. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა ისეთი წამყვანი საექსპორტო საქონლის ექსპორტი, როგორცაა შავი ლითონების ჯართი (37 პროცენტი და 33 პროცენტი ღირებულებით და რაოდენობით გამოხატულებაში შესაბამისად) და სპილენძის მადანი (71 პროცენტი და 35 პროცენტი ღირებულებით და რაოდენობით გამოხატულებაში

შესაბამისად). საექსპორტო საქონლის ათეულში ექსპორტის წლიური ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ ოქროს, თხილის და სპირტის შემთხვევაში.

2009 წლის პირველ კვარტალში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები იყვნენ: თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთი, აშშ, გერმანია, იტალია, ჩინეთი, ბულგარეთი, სომხეთი. აღნიშნულ ქვეყნებზე მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 69 პროცენტი მოდიოდა.

ჩანართი: საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემა (ITRS)

საქართველოს ეროვნული ბანკი 2007 წლიდან აწარმოებს ქვეყნის საგარეო სექტორის, კერძოდ, საგადასახდელი ბალანსის, ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სტატისტიკას. ამ სტატისტიკური სამუშაოების ხარისხიანად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმოების უზრუნველსაყოფად, საჭირო გახდა ინფორმაციის დამატებითი წყაროების მოძიება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით გადანყდა საქართველოში დანერგილიყო საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემა (ITRS). ასეთი სისტემა მოქმედებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში (დსთ: უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი; სხვა ქვეყნები: გერმანია, საფრანგეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, იაპონია, ინდონეზია და სხვ.) და წარმოადგენს საგარეო სექტორის სტატისტიკის კომპილაციისათვის ინფორმაციული უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად ბაზას.

საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემა – ITRS გულისხმობს ბანკების მეშვეობით

საგადასახდელი ბალანსის ოპერაციების ქრილში მონაცემების შეგროვებას. ამ სისტემის საშუალებით საგრძნობლად დაიხვეწება საგადასახდელი ბალანსისა და საგარეო ეკონომიკური მდგომარეობის სტატისტიკის მონაცემების ხარისხი, მათი მიღების ოპერატიულობა. ანგარიშს ფორმის მიხედვით ადგენს ყველა ბანკი, რომელიც ახორციელებს ოპერაციებს საქართველოს არარეზიდენტებთან. ანგარიში წარედგინება არარეზიდენტ ბანკებთან პირდაპირი საკორესპონდენტო ურთიერთობების არსებობის, ან არარეზიდენტი კლიენტების მიმდინარე ანგარიშების არსებობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, სისტემა მონიტორინგს უწევს უცხოურ საკორესპონდენტო (ნოსტრო და ლორო) და არარეზიდენტების მიმდინარე ანგარიშებზე თანხების მოძრაობას. თითოეულ ტრანზაქციას, განხორციელებულს ზემოთ ნახსენებ ანგარიშებზე, ეწერება საგადასახდელი ბალანსის სტანდარტული კლასიფიკაციის ოპერაციების შესაბამისი, პარტნიორი ქვეყნისა და ეკონომიკის სექტორის კოდები და ამ სახით ის იგზავნება ეროვნულ ბანკში.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეგიონალურ მრჩეველთან ერთად, შეიმუშავა საქართველოში ITRS-ის სისტემის დანერგვის კონცეფცია. შეიქმნა ანგარიშგების ფორმები, ოპერაციათა კოდირების სისტემა და მათი მინიჭების ინსტრუქცია, განისაზღვრა ამ სისტემის ძირითადი სეგმენტები (ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები, არასაბანკო ფინანსური კორპორაციები და არასაფინანსო კორპორაციები, რომელთაც აქვთ ანგარიშები საზღვარგარეთ ბანკებში) და ITRS-ის დანერგვის ეტაპობრივი სქემა. პირველ ეტაპზე სისტემა ამოქმედდება ეროვნულ ბანკსა და საბანკო სექტორში, ხოლო არასაბანკო ფინანსური და არასაფინანსო კორპორაციების ჩართვა ერთიან სქემაში გათვალისწინებულია მეორე ეტაპზე.

მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების პროცესში შედგა გაცნობითი და სატრენინგო სახის შეხვედრები კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან. ამასთან, პარალელურად ჩატარებულ იქნა საცდელი კვლევები. კონსულტაციების, მიღებული შედეგებისა და კომერციული ბანკების წარმომადგენლების წინადადებების გათვალისწინებით, მოხდა კოდების სისტემის ოპტიმიზაცია და შეიცვალა ანგარიშის შევსების ინსტრუქციის მოთხოვნები. გადაიდგა ნაბიჯი ამ სისტემის გამარტივების კუთხით. ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების პროგრამირებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურებს შორის, შეთანხმებულ იქნა ეროვნულ ბანკში წარსადგენი ინფორმაციის ელექტრონული ფორმატი.

2009 წლის იანვრიდან, ეტაპობრივი სქემის შესაბამისად, საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემა ამოქმედდა ეროვნულ და კომერციული ბანკებში. მათ მიერ უკვე წარდ-

გენილ იქნა პირველი კვარტალის შედეგები. ITRS-ის მიზანია საგადასახდელო ბალანსისა და საგარეო ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის საჭირო სტატისტიკური მონაცემების შეგროვება. პირველ ეტაპზე სისტემა მონიტორინგს გაუწევს საბანკო სექტორის გავლით სახსრების მოძრაობას საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. თითოეული განხორციელებული ტრანზაქცია კლასიფიცირდება გადამხდელის ან გადასახდელის მიმღები ქვეყნის, ოპერაციის გატარების (ვალუტირების) თარიღის, ვალუტის, გადამხდელის ან გადასახდელის მიმღების სექტორის და ოპერაციის შინაარსის მიხედვით, საგადასახდელო ბალანსის მუხლების სტანდარტული კლასიფიკაციის შესაბამისად. კოდირებული სახით შემოსული ინფორმაციის საშუალებით შესაძლებელია თანხების გადაადგილების, როგორც მიმართულების, ასევე დანიშნულების დადგენა. კერძოდ, ქვეყნებისა და ვალუტების მიხედვით, საქართველოში სახსრების შემოდინება საქონლისა თუ მომსახურების ექსპორტიდან, ან გადახდები საქონლისა და მომსახურების იმპორტზე; საქართველოს რეზიდენტების მიერ მიღებული, თუ გადახდილი შემოსავლები; მიმდინარე ტრანსფერტები; საქართველოს ეკონომიკაში, თუ საქართველოდან საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციები: პირდაპირი, პორტფელური და სხვა.

ამრიგად, ITRS-ის გზით მიღებული ყოველთვიური აგრეგირებული მონაცემები სასარგებლოა, როგორც ეროვნული, ისე კომერციული ბანკებისათვის, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, საშუალებას იძლევა გაანალიზებულ იქნას ქვეყანაში განხორციელებული საერთაშორისო ოპერაციები, მათი დინამიკა ქვეყნების, ვალუტებისა და თვით ამ ოპერაციების ხასიათის ჭრილში.

2.9. სამთავრობო ოპერაციები


2009 წლის პირველ კვარტალში დაფიქსირდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 88 მლნ ლარის ოდენობით (დეფიციტის დათვლა ითვალისწინებს, როგორც მიმდინარე, აგრეთვე ფინანსურ და არა-ფინანსურ აქტივებზე განეულ ხარჯებს), რაც 116.4 მლნ ლარით ნაკლებია დაგეგმილ მოცულობაზე. ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლის დაგეგმილთან განსხვავების მიზეზს, ძირითადად, წარმოადგენდა ბიუჯეტის შემოსავლების გადაჭარბებით მობილიზება, რომელიც შემოსავლის ყველა კატეგორიის

მიხედვით აღემატებოდა დაგეგმილ მოცულობას. კონკრეტულად, საანგარიშო პერიოდში შემოსული გრანტების მოცულობა 9.6 პროცენტით აჭარბებდა დაგეგმილს, ხოლო სხვა შემოსავლები 7.6 პროცენტით, რომლის უდიდესი ნაწილი მოდის სახელმწიფოს მიერ საქონლისა და მომსახურების რეალიზებიდან მიღებულ შემოსავლებზე, აგრეთვე, სანქციების დაწესებით მიღებულ შემოსავალზე. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლებს, მათი დაგეგმილთან შეფარდების კოეფიციენტი უმნიშვნელოდ აჭარბებებს 1-ს. 2009 წლის პირველ კვარტალში


ცხრილი 2.9
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პარამეტრები

სახელმწიფო ბიუჯეტი (ათას ლარებში)	2009 I კვ.	შესრულება, %	წლიური ზრდა, %	თანაფარდობა მშპ-სთან (2009)	თანაფარდობა მშპ-სთან (2008)
შემოსავლები	1 363 038	102,3%	-3,2%	34,1%	33,7%
საშემოსავლო გადასახადი	238 254	100,5%	-2,3%	6,0%	5,8%
მოგების გადასახადი	171 159	102,9%	-10,8%	4,3%	4,6%
დამატებული ღირებულების გადასახადი	571 929	101,1%	20,4%	14,3%	11,4%
აქციზი	99 968	100,0%	-13,6%	2,5%	2,8%
საბაჟო გადასახადი	9 083	101,4%	-23,4%	0,2%	0,3%
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი	9 191	100,0%	-79,5%	0,2%	1,1%
გრანტები	37 497	109,6%	28,4%	0,9%	0,7%
სხვა შემოსავლები	54 826	107,6%	-56,8%	1,4%	3,0%
არაფინანსური აქტივების კლება	23 605	105,2%	-83,0%	0,6%	3,3%
ფინანსური აქტივების კლება	110 879	101,8%	3708,4%	2,8%	0,1%
ვალდებულებების ზრდა	36 594	128,7%	38,1%	0,9%	0,6%
ხარჯები	1 470 020	93,8%	3,5%	36,8%	34,0%
მიმდინარე ხარჯები	1 118 993	94,4%	-11,2%	28,0%	30,1%
კაპიტალური ხარჯები	122 082	82,4%	2,0%	3,1%	2,9%
ხარჯები ფინანსურ აქტივებზე	38 662	89,7%	89,4%	1,0%	0,5%
ვალდებულებების კლება	190 282	99,7%	842,3%	4,8%	0,5%

გრაფიკი 2.9.1
სახელმწიფო ხარჯები / მშპ



გრაფიკი 2.9.2
სარეზერვო ფულის ცვლილება, 2009



სახელმწიფოს მიერ განეულ იქნა დაგეგმილი ხარჯების მხოლოდ 93.8 პროცენტს. აქედან გეგმიდან ყველაზე დიდი გადახრით გამოირჩევა საქონლისა და მომსახურების შექენაზე განეული ხარჯები (შესრულება 85.3 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ 2009 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა წლიური 3.5 პროცენტით, ხოლო შემოსავლები შემცირდა წლიური 3 პროცენტით.

2009 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 75 პროცენტის დაფარვა მოხდა საგადასახადო შემოსავლებით, ხოლო პრივატიზაციის წილი შეადგენდა მხოლოდ 2 პროცენტს. საგადასახადო შემოსავლები შესრულდა დაგეგმილთან შედარებით 101.1 პროცენტით. უფრო კონკრეტულად კი, პირდაპირი გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა გადააჭარბა დაგეგმილ დონეს 1.5 პროცენტით, ხოლო არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც უფრო მგრძობიარეა და ემორჩილება შიდა მოთხოვნის ცვლილებებს, შესრულდა 100.9 პროცენტით.

სახელმწიფო ინვესტიციების წილი მშპ-ში იზრდებოდა 2004-2007 წწ, ხოლო 2007 წლიდან აღნიშნული ფარდობა იწყებს კლებას, სავარაუდოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით. თუმცა 2009 წლის პირველი კვარტალისთვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა 3.1 პროცენტი შეადგინა (დაგეგმილი იყო 3.7 პროცენტი), რაც უმნიშვნელოდ აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 2.9 პროცენტს. აღნიშნულ კოეფიციენტს ახასიათებს სეზონური ხასიათი, ამიტომ მოსალოდნელია, რომ იგი უფრო გაიზრდება შემდგომ კვარტალებში და წლის ბოლოს მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწევს. უნდა აღინიშნოს, რომ არაფინანსურ აქტივებზე განეული ხარჯების ზრდა ხელს უწყობს უმუშევრობის აღმოფხვრას და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას ქვეყანაში, როგორც მოკლე, აგრეთვე გრძელვადიან პერიოდში.

2009 წლის პირველ კვარტალში ქვეყნის სარეზერვო ფული შემცირდა 12 პროცენტით (165 მლნ ლარი). სარეზერვო ფულის ცვლილებაში სამთავრობო ოპერაციების წვლილი 9.5 პროცენტია, მონეტარული ოპერაციების წვლილი -2.9 პროცენტი (რომელიც გულისხმობს კომერციული ბანკების წმინდა დავალიანებას ეროვნული ბანკის მიმართ), ხოლო საგარეო სექტორის წვლილი -18.1 პროცენტი (რომელიც გულისხმობს ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა ყიდვას როგორც სავალუტო სავალუტო ბირჟის, აგრეთვე სავალუტო აუქციონის საშუალებით). როგორც ვხედავთ, სარეზერვო ფულის მოცულობაზე მოქმედი სამი კომპონენტიდან მხოლოდ სამთავრობო ოპერაციები წარმოადგენდა დადებით რიცხვს, რაც იმას ნიშნავს, რომ 2009 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ატარებდა ექსპანსიურ პოლიტიკას, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის ხელის შემწყობი ფაქტორია. აღნიშნული პერიოდის სახელმწიფო ხარჯებში ნიშანდობლივია სოციალურ დაცვაზე განეული ხარჯები, რომელმაც 2009 წლის პირველ კვარტალში შეადგინა 292 მლნ ლარი. აღნიშნული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს ხანდაზმულთა, ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვაზე, აგრეთვე სოციალური გაუცხოების საკითხებზე, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას.

2009 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ხარჯების სიდიდით მეორე კატეგორიაა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე განეული ხარჯები (264 მლნ ლარი), რომელიც წარმოადგენს ადგილობრივი მთავრობებისადმი გაცემულ გრანტებზე, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ფინანსური და ფისკალური საქმიანობის უზრუნველყოფაზე, აგრეთვე სახელმწიფო ვალის მომსახურების უზრუნველყოფაზე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე დაიხარჯა 221 მლნ ლარი. აღნიშნული კატეგორიით გათვალისწინებული

ასიგნებები ძირითადად წარმოადგენს პოლიციის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე, გარდა ამისა, ხარჯები წარმოადგენს სასამართლოების, პროკურატურისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების მომსახურების უზრუნველყოფაზე.

2009 წლის პირველ კვარტალში მთლიანი სახელმწიფო ვალი 2008 წელთან შედარებით შემცირდა 1.2 პროცენტით (63 მლნ ლარი) 5090.5 მლნ ლარამდე. აქედან საგარეო ვალდებულებები შემცირდა 1.5 პროცენტით (55 მლნ ლარი), ხოლო საშინაო ვალდებულებები 0.6 პროცენტით (8 მლნ ლარი). ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ეფექტი შეადგენს 6.6 მლნ ლარს. საგარეო ვალის ზომიერ ფარგლებში ზრდა თუ ის ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებას მოხმარდება, კრიზისის პერიოდში პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

3. ინფლაციის პროგნოზი


ინფლაციის პროგნოზირებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს ორ მეთოდოლოგიას: ერთი მხრივ, ბანკი აკვირდება სამომხმარებლო კალათაში შემავალი ცალკეული პროდუქციის ინდექსებს და გარკვეული დაშვებებისა და პროგნოზების საფუძველზე ითვლის მოკლევადიანი პერიოდისათვის საპროგნოზო ინფლაციას, მეორე მხრივ კი, ბანკი ეყრდნობა ინფლაციის დინამიკის ეკონომეტრიკულ მოდელირებას.

მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელი ინფლაციის პროგნოზირებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი ითვალისწინებს სამომხმარებლო კალათისათვის ზოგიერთ მნიშვნელოვან პროდუქციაზე მსოფლიო ფასების მოსალოდნელ დინამიკას. არსებული პროგნოზებით, 2009 წლის მეოთხე

კვარტალში მოსალოდნელია ნავთობპროდუქტებზე ფასების მატება. ინფლაციის პროგნოზისათვის გამოყენებული დაშვების შესაბამისად ტრანსპორტის მგზავრობის გადასახადის ცვლილება 2009 წელს ნავთობპროდუქტებზე ფასების დინამიკასთან შესაბამისობაში იქნება. ხორბალზე მოსალოდნელია ფასების გარკვეული ზრდა. პროგნოზისათვის გამოყენებულია დაშვება, რომ მომავალი წლის განმავლობაში რეგულირებადი ფასები უცვლელად შენარჩუნდება. უცვლელი იქნება აგრეთვე მზესუმზირის ზეთის ფასი. ხილ-ბოსტნეულზე და რძის პროდუქტებზე ფასების დინამიკის პროგნოზი გაკეთდა სეზონურობის გათვალისწინებით. სამომხმარებლო კალათის სხვა ჯგუფების ფასების დინამიკის პროგნოზირებისათვის გამოყენებულ იქნა არსებული ინფორმაცია ეკონომიკის შესაბამის სექტორზე მოსალოდნელი ტენდენციების შესახებ. აღნიშნული მეთოდით ინფლაციის პროგნოზი გვიჩვენებს, რომ 2009 წლის მეორე კვარტალის ბოლოსათვის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 1.6 პროცენტამდე შემცირდება, მესამე კვარტალის განმავლობაში კვლავ განაგრძობს შემცირებას და სექტემბრის ბოლოსათვის 0.8 პროცენტამდე ჩამოვა. წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა დაახლოებით 3.6 პროცენტამდე. რაც შეეხება ინფლაციის საშუალოწლიურ მაჩვენებელს, 2009 წლის განმავლობაში არსებული პროგნოზით კლების ტენდენცია ექნება. ივნისის თვეში მოსალოდნელია, რომ ინფლაციის საშუალოწლიური მაჩვენებელი 5.2 პროცენტამდე, ხოლო სექტემბრის ბოლოს 2.8 პროცენტამდე შემცირდება.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის პირველ კვარტალში ინფლაციის პროგნოზი შემცირდა წინა კვარტალის პროგნოზთან შედარებით. პროგნოზების შემცირება გამოიწვია უკანასკნელ პერიოდში ნავთობპროდუქტებზე, აგრეთვე სამომხმარებლო

ბრაზიკი 3.1
წლიური ინფლაციის პროგნოზი (პროდუქტების მიხედვით)



კალათის ზოგიერთ მნიშვნელოვან პროდუქციაზე, როგორცაა ხორბალი და მზესუმზირის ზეთი, საერთაშორისო ფასების მოსალოდნელზე კიდევ უფრო შემცირებამ. შედეგად წლიური ინფლაციის პროგნოზი დაახლოებით 1.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა წინა კვარტალის პროგნოზთან შედარებით.

რაც შეეხება საშუალო წლიური ინფლაციის პროგნოზს, 2009 წლის მეორე კვარტალის ბოლოს დაახლოებით 1.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო მესამე კვარტალის ბოლოს დაახლოებით 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა წინა კვარტალის პროგნოზთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მეთოდით გაანგარიშებული ინფლაციის პროგნოზი მიზანშეწინილია ნახევარწლიანი ჰორიზონტისთვის, რადგან უფრო გრძელვადიანი პერიოდისათვის პროგნოზი კარგავს სიზუსტეს.

ინფლაციის პროგნოზირებისათვის განვაახლეთ და თავიდან შევაფასეთ ინფლაციის ყოველთვიური ეკონომეტრიკული მოდელი, მას შემდეგი სახე აქვს:

$$\delta p = 0,111\delta e_{-2} - 0,057\delta e_{-4} + 0,029\delta m_{-1} + 0,035\delta m_{-2} - 0,039\delta m_{-3} + 0,012\delta p^{oil}_{-1} + 0,024\delta p^{food}_{-1} - 0,054ecm;$$

სადაც:

P არის სამომხმარებლო ფასების ინდექსი;

m – ფულის მასა;

e – გაცვლითი კურსი ლარი/აშშ დოლართან;

P^{oil} – ნავთობის საშუალო ფასი მსოფლიოში;

P^{food} – ხოლ-ბოსტნეულის ფასი;

ecm – გრძელვადიანი წონასწორობის აღმწერი ცვლადია და მას შემდეგი სახე აქვს:

$$ecm = p_{-1} - 0,46e_{-1} - 0,54m_{-1} + 0,66y_{-1} - 5,21$$


სადაც:

y – მთლიანი შიდა პროდუქტია.

განტოლებაში, აგრეთვე, შედის სეზონური და გადაგვარებული ცვლადები განსაზღვრული სეზო-


გრაფიკი 3.2

საშუალო წლიური ინფლაციის პროგნოზი (პროდუქტების მიხედვით)




გრაფიკი 3.3

საშუალო წლიური ინფლაციის პროგნოზი (პროდუქტების მიხედვით)




გრაფიკი 3.4

წლიური ინფლაციის პროგნოზი (მოდელის მიხედვით)



გრაფიკი 3.5

საშუალო წლიური ინფლაციის პროგნოზი (მოდელის მიხედვით)



წარმოებისა და სტრუქტურული ცვლილებების აღსანიშნავად;

მოდელში შემავალი ამხსნელი ცვლადების სამომავლო მნიშვნელობების შესახებ შემდეგი დაშვებები გათვალისწინებულია:

- ფართო ფული უცხოური ანაბრების გარეშე წლიურად მიმდინარე წლის ბოლოსათვის 5,6 პროცენტით გაიზრდება;

- მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა -1.5 პროცენტს გაუტოლდება;

- ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან არ შეიცვლება;

- ხილ-ბოსტნეულის ფასები გაიზრდება გასული წლის ტენდენციის შესაბამისად, სეზონურობის გათვალისწინებით;

- ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე არ შეიცვლება და ერთი ბარელის ღირებულება საშუალოდ 62 აშშ დოლარს გაუტოლდება;

შეფასებულის მოდელის შედეგად მიღებულ წლიური ინფლაციის პროგნოზს შემდეგი სახე აქვს (გრაფიკი 3.3)

მიღებული შედეგის მიხედვით, წლიური ინფლაცია მიმდინარე წლის მაისისათვის 10 პროცენტის ალბათობით 0,78-დან 1,02 პროცენტამდე შეიცვლება. 2009 წლის მეორე კვარტალის ბოლოსათვის 10 პროცენტის ალბათობით -0.53-დან -0.07 პროცენტამდე შეიცვლება, ხოლო 2009 წლის სექტემბრისათვის -2.36-დან -1.58 პროცენტამდე შეიცვლება, წლის ბოლოსათვის ინფლაცია 0.12-დან 1.53 პროცენტამდე შეიცვლება. საშუალოწლიური ინფლაცია ივნისისათვის 5.1 პროცენტი იქნება, სექტემბრისათვის 2.0 პროცენტი, ხოლო წლის ბოლოსათვის კი 0.4 პროცენტი.

4. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილება

2009 წლის I კვარტალის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სამი დაგეგმილი სხდომა ჩატარდა. 21 იანვარს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად, 8 პროცენტზე დატოვა. 18 თებერვლის სხდომაზე პოლიტიკის ძირითადი განაკვეთი 100 საბაზისო პუნქტით, ხოლო 18 მარტის სხდომაზე 50 საბაზისო პუნქტით შეამცირა. მარტის ბოლოსათვის რეფინანსირების განაკვეთი 6.5 პროცენტს გაუტოლდა.

21 იანვრის სხდომაზე აღინიშნა, რომ ინფლაციის მაჩვენებელი განაგრძობს კლებას, თუმცა, წინა სხდომის შემდეგ არ შეცვლილა ინფლაციაზე მოქმედი რისკები. მიუხედავად იმისა, რომ დეპოზიტების მოცულობა მცირედით გაიზარდა, ეკონომიკის დაკრედიტების ზრდა არ შეიმჩნევა. ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით წლის მეორე ნახევრიდან მოსალოდნელია ქვეყანაში საგარეო შემოდინებების გარკვეული აღდგენა, რაც ხელს შეუწოებს საკრედიტო აქტივობის გამოცოცხლებას. ამ პერიოდისათვის ეკონომიკური ზრდის პროგნოზები ჯერ კიდევ პესიმისტურია, გაურკვეველობა რჩება საერთაშორისო საფინანსო და სასაქონლო ბაზრებზე ფასების მოსალოდნელი დინამიკის შესახებ. ამ მიზეზების გამო მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა პოლიტიკის ძირითადი განაკვეთი უცვლელი დატოვა.

18 თებერვლის და 18 მარტის სხდომებზე მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ გაზრდილია ინფლაციის კლებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა, ფასების ზრდა განსაკუთრებით შემცირებულია ხანმოკლე მოხმარების საქონელზე, რაც ამცირებს მოსახლეობის ინფლაციის მოლოდინს. თებერვალში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განაახლა გლობალური ეკონომიკის პროგნოზე-

ბი, რის მიხედვითაც 2009 წელს მოსალოდნელია მსოფლიო ეკონომიკის მხოლოდ 0.5-პროცენტიანი ზრდა, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ორი თვის წინანდელ პროგნოზებზე. ეკონომიკის ზრდის პერსპექტივები განსაკუთრებით ნაკლებია საქართველოს მეზობელი და ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებისათვის. ამასთან ეროვნულმა ბანკმა გადახედა საქართველოს ეკონომიკის მოსალოდნელ ზრდის ტემპს შემცირების მიმართულებით. საპროგნოზო მონაცემებით მნიშვნელოვნად შემცირებულია აგრეთვე იმპორტის მოცულობაც. ეკონომიკის ზრდის ტემპის მოსალოდნელი შემცირების და ინფლაციის დინამიკის კლების ტენდენციის გათვალისწინებით ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო მონეტარული პოლიტიკის შერბილების გადაწყვეტილება, რაც გამოიხატა რეფინანსირების განაკვეთის 8 პროცენტიდან 6.5 პროცენტამდე შემცირებით.

2009 წლის პირველ კვარტალში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებებიდან აღსანიშნავია ახალი ინსტრუმენტის – სავალუტო აუქციონების ამოქმედება. სავალუტო აუქციონი ჩატარდება კვირაში ორჯერ და იგი ნაწილობრივ ჩანაცვლებს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟას, ხოლო კვირის დარჩენილ დღეებში ჩვეულებრივ ჩატარდება ბანკთაშორის სავალუტო ბირჟა. ეროვნული ბანკი წინასწარ გამოაცხადებს აუქციონზე გასაყიდი ან შესასყიდი უცხოური ვალუტის მოცულობას და შემდეგ აუქციონი ჩატარდება მრავალი ფასის მეთოდით. სავალუტო აუქციონები მოემსახურება ეკონომიკის აშშ დოლარის ლიკვიდობით უზრუნველყოფას. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს გაცვლითი კურსის მართვის შემცირებისა და მისი, უფრო მეტად, საბაზრო მექანიზმებით განსაზღვრის მიმართულებით.

